

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება**

N132 **2005 წლის 11 აგვისტო** **ქ. თბილისი**

**ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და
პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე**

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ თანდართული დებულება.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ზურაბ ნოღაიდელი

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2005 წლის 11 აგვისტოს
N132 დადგენილებით

დებულება
**ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა
და პირობების შესახებ**

მუხლი 1. დებულების მიზანი.

ეს დებულება განსაზღვრავს ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის (შემდგომში – გენერალური ლიცენზია), სამონადირეო მეურნეობისა და ხეტყის დამზადების მიზნით სპეციალური ლიცენზიების (შემდგომში – სპეციალური ლიცენზია), გაცემის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. გენერალური ლიცენზია

1. ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სამონადირეო მეურნეობისა და ხეტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიებს.
2. ერთი სპეციალური ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად გენერალური ლიცენზიის მოპოვება სავალდებულო არ არის.
3. ლიცენზირებას არ ექვემდებარება საქართველოს გარემოს დაცვისა და

ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის საშემე და სამასალე მერქნით დაკმაყოფილების მიზნით ხეტყის (მათ შორის, მოთხრილ-მოტეხილი, ქარტეხილი, ნახანძრალი კატეგორიის ხეები, ტყეკაფის ათვისების შემდგომ დატოვებული საშემე კატეგორიის ხეტყის ნარჩენები და ნაყარი ხეტყე) გაცემა, აგრეთვე სპეციალური და მიჩენის მიზნით ტყით სარგებლობა (მათ შორის, ამ ტერიტორიებზე სპეციალური ჭრების განხორციელება) და ტყით მოსარგებლისათვის გამოყოფილ ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზის მშენებლობისას ხეტყის ჭრა, ასევე წიაღით მოსარგებლისათვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზის მშენებლობისას ხეტყის ჭრა. (12.11.2008 N 220)

31. სპეციალური დანიშნულებით ტყით სარგებლობა ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის: (11.08.2006 N149)

ა) ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი სადენების, არხების მშენებლობის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისას; (3.12.2008 N 236)

ბ) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისა და წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისას;

გ) ხეების შესაძლო წაქცევით ნებისმიერი ინფრასტრუქტურის ან მისი ცალკეული ელემენტების ფუნქციონირების შეზღუდვის ან მათი დაზიანების საფრთხისას.

დ) წიაღით სარგებლობისას; (15.05.2008 N 129)

ე) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციისას (რეაბილიტაციისას). (3.12.2008 N 236)

32. ხე-ტყის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისათვის თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე გაიცემა „ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტისა და მისი გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემდეგი დოკუმენტები: “ხე-ტყის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი”, “საშემე მერქნის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი”, “ხე-ტყის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი”. (30.07.2008 N166)

33. ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე აკრძალულია: ხე-ტყის პირველადი გადამუშავება, საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის ტრანსპორტირება, ხე-ტყის რეალიზაცია. ხე-ტყის კანონიერად დამზადების დამადასტურებელი დოკუმენტი მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინება საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ პირს. (30.07.2008 N166)

4. ადგილობრივი მოსახლეობისათვის პირადი მოხმარების მიზნით საშემე და სამასალე მერქნის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით იღებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციები, შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო ან მისი ტერიტორიული ორგანო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო სამმართველოს შესაბამისი ორგანოები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. (30.07.2008 N166)

4¹. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწისათვის სპეციალური დანიშნულების კატეგორიის მიწებისა და სპეციალური მიზნით ტყით სარგებლობისათვის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილებას “მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის” რეკომენდაციის საფუძველზე იღებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი საქართველოს ტყის კოდექსის 82-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის მიჩენის მიზნით ტყით სარგებლობისათვის გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილება “მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის” რეკომენდაციით მიიღება “სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყით სარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის N506 ბრძანებულების შესაბამისად. (26.08.2006 N165)

4². სახელმწიფო ტყის ფონდის მიწის სპეციალური და მიჩენის მიზნით ტყით სარგებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიებზე სპეციალური ჭრების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით იღებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. (11.08.2006 N149)

4³. სპეციალურ ჭრას ახორციელებს სპეციალური ან მიჩენის მიზნით გამოყოფილი ტყის ფონდის მიწით მოსარგებლე, რომელიც უზრუნველყოფს გამოყოფილ ფართობზე ჭრას დაქვემდებარებული ხეების აღრიცხვას (ტყეკაფის გამოყოფის სამუშაოთა შესრულება) და ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ორგანოსათვის წარდგენას, რომელიც აღნიშნული მასალების განხილვის შემდეგ გამოყოფს ტყეკაფს მიწით მოსარგებლისათვის მიღება-ჩაბარების აქტით. სპეციალური ჭრის შედეგად მიღებული მერქნული რესურსი მიღება-ჩაბარების აქტით უნდა გადაეცეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის ორგანოს და მისივე მითითებით და მის სამოქმედო ტერიტორიაზე უნდა განათავსოს (დაასაწყობოს)

მიწით მოსარგებლემ; (12.11.2008 N 220)

4⁴. ამ მუხლის 4¹ პუნქტის საფუძველზე შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული მერქნული რესურსი, აგრეთვე ტყით მოსარგებლისათვის გამოყოფილ ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზის მშენებლობისას მოჭრილი მერქნული რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით შემდგომი რეალიზაციისათვის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადაეცემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო სააგენტოს. (12.11.2008 N 220)

4⁵. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საფინანსო სააგენტოს მიერ მერქნული რესურსი გაიცემა შემძენის მიერ “ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ. (26.08.2006 N165)

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ფორმასა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. (17.03.2008 N 64)

6. ამოღებულია (12.11.2008 N 220)

7. ამოღებულია (12.11.2008 N 220)

8. ამოღებულია (12.11.2008 N 220)

მუხლი 3. გენერალური და სპეციალური ლიცენზიების გამცემი

ადმინისტრაციული ორგანო (17.03.2008 N 64)

1. გენერალური და სპეციალური ლიცენზიების გამცემი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

2. ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილება სამინისტრომ შეიძლება მიანიჭოს თავის ტერიტორიულ ორგანოებს.

3. ლიცენზიის გამცემი სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 4. გენერალური და სპეციალური ლიცენზიების გაცემის წესი (17.03.2008 N 64)

1. გენერალური და სპეციალური ლიცენზიები გაიცემა აუქციონის წესით.

2. სამინისტრო აუქციონს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აცხადებს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით, რომელიც უნდა გამოიცეს აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველია მაძიებლის განცხადება, რომელსაც სამინისტრო იხილავს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, რომელშიც სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით სამინისტრო რთავს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი

რესურსების სამინისტროს, ან სამინისტროს გადაწვეტილება, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.

4. ინფორმაციას აუქციონის გამართვის თაობაზე სამინისტრო აქვეყნებს ცენტრალურ პრესაში აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

5. ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის ან ხეტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის ობიექტი არის სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრული უბანი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დადგენილი საანგარიშო ტყეკაფით.

6. აუქციონის გამართვამდე სამინისტრომ შეიძლება დაადგინოს დასამზადებელი ხეტყის (ხეტყის დამზადების ადგილმდებარეობა, მერქიანი მცენარეების ჯიშები, დამზადების მოცულობა, სარგებლობის კონკრეტული წესი, საქმიანობის სუბიექტისადმი სავალდებულო მოთხოვნები და ა.შ.), ასევე სამონადირეო მეურნეობის მოწყობისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის რაოდენობრივი, თვისებრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები, რომლებიც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით (მხოლოდ მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე) მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. აუქციონის გამართვის, გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის გაცემის წესს ადგენს სამინისტრო.

მუხლი 5. აუქციონში მონაწილეობის მიღების წესი და პირობები

1. აუქციონის წესით ლიცენზიის გაცემაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა ლიცენზიის მადიებელს, რომლებიც დააკმაყოფილებენ კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს და იკისრებენ ვალდებულებას – დააკმაყოფილონ სარგებლობის ლიცენზიის გამცემის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები.

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. აუქციონში მონაწილეობის თაობაზე განცხადება მიიღება აუქციონის გამოცხადებიდან არანაკლებ 15 დღის განმავლობაში. განცხადებების მიღების საბოლოო ვადას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს სამინისტრო. (17.03.2008 N 64)

4. თუ ლიცენზიის მადიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს განაცხადებს აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი ექვემდებარება დაბრუნებას. მოცემული ვადის დარღვევის შემთხვევაში სალიცენზიო მოსაკრებლის თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5. ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლის გადახდისა და ანგარიშსწორების წესი განისაზღვრება ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ლიცენზიის მადიებელი ვალდებულია გადაიხადოს ბე. ბეს ოდენობის განსაზღვრის, მისი გადახდისა და უკან დაბრუნების

წესს ადგენს სამინისტრო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. (17.03.2008 N 64)

მუხლი 6. უარი აუქციონში მონაწილეობის მიღებაზე

1. აუქციონში მონაწილეობისათვის არ დაიშვება მაძიებელი, თუ:

ა) დაგვიანებით წარადგინა აუქციონში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაცია;

ბ) წარადგინა წინასწარ ყალბი ან არაზუსტი ინფორმაცია;

გ) კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე არ შეიძლება მონაწილეობდეს დანიშნულ აუქციონში.

2. მაძიებელს მოტივირებული უარი უნდა ეცნობოს განაცხადის მიღებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

მუხლი 7. საწყისი ფასი (17.03.2008 N 64)

აუქციონზე გამოტანილი გენერალური და სპეციალური ლიცენზიების გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესს “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის პრინციპების დაცვით ადგენს სამინისტრო.”.

მუხლი 8. სალიცენზიო პირობები (17.03.2008 N 64)

1. ხეტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის მიღებიდან 1 თვის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში კანონიერი და უკანონო ჭრის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაგან გადაიბაროს ეს ტერიტორია და მასზე არსებული მერქნული რესურსი მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების განხორციელების წესსა და შესაბამის ფორმას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

ბ) დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია;

გ) ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 9 თვის ვადაში ჩაატაროს დეტალური ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) ინვენტარიზაციის პროცესში დამატებით აღმოჩენილი უკანონო ჭრის შემთხვევაში, რომელიც არ იყო ასახული მიღება-ჩაბარების აქტში, მიმართოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიღება-ჩაბარების აქტში დანართის სახით შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და შემდგომი რეაგირების მიზნით;

ე) ლიცენზიის მიღებიდან არა უგვიანეს 10 თვისა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში დასამტკიცებლად წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი ტყით სარგებლობის

გეგმა. ტყით სარგებლობის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

ვ) ტყით სარგებლობის გეგმასთან ერთად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარადგინოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა. ეკოაუდიტორულ დასკვნაში, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა აისახოს ტყით სარგებლობის გეგმის შესაბამისობა მდგრად მეტყევეობის პრინციპებსა და სატყეო სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

ზ) ყოველი მომდევნო წლის 1 აპრილამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარადგინოს ტყით სარგებლობის გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე “ვ” ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანიზაციის დასკვნა;

თ) პასუხისმგებელია დამტკიცებული ტყით სარგებლობის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისათვის;

ი) ტყით სარგებლობის გეგმის დამტკიცებამდე არ გაასხვისოს ლიცენზია ან მისი ნაწილი;

კ) ლიცენზიის ნაწილის გასხვისებისას, ლიცენზიის გასასხვისებელი ნაწილით განსაზღვრული ტერიტორია არ უნდა არღვევდეს სატყეობის ბუნებრივ საზღვრებს;

ლ) ლიცენზიის ნაწილის გასხვისების შემთხვევაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ტყით სარგებლობის გეგმაში;

მ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოყოს ტყეკაფი;

ნ) შემდგომი წლის ტყეკაფების ათვისება დაიწყოს მას შემდეგ, რაც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო შეამოწმებს მიმდინარე/წინა წლის ჭრაგავლილ ტყეკაფებს;

ო) წითელ წიგნში შეტანილი დაავადებული ხეტყით სარგებლობა განხორციელოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ იქნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების განმსაზღვრელი კომისიის დასკვნა;

პ) უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელება;

ჟ) უზრუნველყოს მაღალი ბუნებისდაცვითი (კონსერვაციული) ღირებულების ტყეების დაცვა;

რ) უზრუნველყოს ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;

ს) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;

ტ) ხელი არ შეუშალოს ტყის ფონდის მიწებსა და ტყის რესურსებზე (სამასალე და სამეშე მერქნის, ასევე ლიცენზირებას დაქვემდებარებული არამერქნული რესურსების გარდა) ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოთხოვნილებების უსასყიდლოდ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ტრადიციული უფლებების განხორციელებას;

უ) ხელი არ შეუშალოს ტურისტულ-რეკრეაციული მიზნებისათვის მოსახლეობის ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ყოფნას;

ფ) უზრუნველყოს ისტორიული, რელიგიური და კულტურული ძეგლების ბუნებრივი საზღვრების დადგენა და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ამ ტერიტორიაზე სოციალური/რეკრეაციული ღონისძიებების განხორციელება;

ქ) ხელი არ შეუშალოს სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ფლორისა და ფაუნის სახეობების შესწავლას ბუნებრივი გარემოდან ამოღების გარეშე. სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტის ბუნებრივი გარემოდან ამოღება აწარმოოს ლიცენზიატთან შეთანხმებით;

ღ) ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები და სხვ.) განხორციელებასა და ფუნქციონირებას;

ყ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში ხელი არ შეუშალოს ლიცენზიატს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში.

2. სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) ლიცენზიის მიღებიდან 1 თვის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ბოლო 5 წლის განმავლობაში კანონიერი და უკანონო ჭრის შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაგან გადაიბაროს ეს ტერიტორია (მიღება-ჩაბარების აქტით) საკვარტალე სქემის მიხედვით. ინვენტარიზაციის შედეგების გათვალისწინებით და შესაბამისი დასაბუთებით შესაძლებელია მიღება-ჩაბარების აქტის კორექტირება;

ბ) დაიცვას ლიცენზიით განსაზღვრული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია;

გ) ლიცენზიის აღებიდან არა უგვიანეს 9 თვის ვადაში ჩაატაროს ამორჩევითი ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) ლიცენზიის აღებიდან არა უგვიანეს 10 თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარადგინოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შედგენილი სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესს ადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმასთან ერთად საქართველოს

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარადგინოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრებისმიერ ქვეყანაში აკრედიტებული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ გაცემული დადებითი ეკოაუდიტორული დასკვნა;

ვ) ყოველი მომდევნო წლის 1 აპრილამდე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარადგინოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე “ე” ქვეკუთხეტით განსაზღვრული ორგანიზაციის დასკვნა;

ზ) პასუხისმგებელი დამტკიცებული სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისათვის;

თ) ინვენტარიზაციის პროცესში დამატებით აღმოჩენილი უკანონო ჭრის შემთხვევაში, რომელიც არ იყო ასახული მიღება-ჩაბარების აქტში, მიმართოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიღება-ჩაბარების აქტში დანართის სახით შესაბამისი ცვლილებების შეტანისა და შემდგომი რეაგირების მიზნით;

ი) ყოველწლიურად სამინისტროში წარადგინოს ცხოველთა სამყაროს ობიექტების ინვენტარიზაციის მასალები, რომელსაც სამინისტრო უგზავნის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მისი თანხმობის საფუძველზე ადგენს ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტას;

კ) დაიცვას სამინისტროს მიერ დადგენილი კვოტები;

ლ) უზრუნველყოს სამონადირეო მეურნეობის ფარგლებში ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირებული, ბუნებრივად არსებული გარეული ცხოველების დაცვა და შენარჩუნება, არ დაუშვას გარეული ცხოველების საბინადრო გარემოს დარღვევა ან გაუარესება;

მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სამართალდარღვევის ფაქტების შესახებ;

ნ) უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში მიიღოს ზომები მის სალიკვიდაციოდ და საფრთხის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო ორგანოებს;

ო) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღკვეთოს და შესაბამის ორგანოებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ფლორისა და ფაუნის სახეობათა დაავადების შესახებ;

პ) დაუყოვნებლივ შეწყვიტოს გარეული ცხოველებით სარგებლობა მათი მდგომარეობისა და საბინადრო პირობების გაუარესებისა და გარეულ ცხოველთა განადგურების საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში; მიიღოს ზომები გარეულ ცხოველებსა და მათ საბინადრო გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის ასაცილებლად;

ჟ) ხელი არ შეუშალოს ტყის ფონდის მიწებსა და ტყის რესურსებზე (სამასალე და საშეშე მერქნის, ასევე ლიცენზირებას დაქვემდებარებული არამერქნული რესურსების გარდა) ადგილობრივი მოსახლეობის პირადი მოთხოვნილებების

უსასყიდლოდ დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ტრადიციულ უფლებათა განხორციელებას;

რ) ხელი არ შეუშალოს სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ფლორისა და ფაუნის სახეობათა შესწავლას ბუნებრივი გარემოდან ამოღების გარეშე. სამეცნიერო-კვლევითი მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტის ბუნებრივი გარემოდან ამოღება წარმოებს ლიცენზიატთან შეთანხმებით;

ს) უზრუნველყოს ისტორიული, რელიგიური და კულტურული ძეგლების ბუნებრივი საზღვრების დადგენა და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ამ ტერიტორიაზე სოციალური/რეკრეაციული ღონისძიებების განხორციელება;

უ) ხელი არ შეუშალოს ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის (მაგისტრალური გაზსადენი, მაღალი ძაბვის გადამცემი ანძები და სხვ.) განხორციელებასა და ფუნქციონირებას.

3. ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის პირობები განისაზღვრება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

4. ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექცია.

მუხლი 8¹. ლიცენზიის გაუქმება (17.03.2008 N 64)

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ლიცენზიის გაუქმების თაობაზე სასამართლოს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით, შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო დაქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვის ინსპექცია.

2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას ძალადაკარგულად აცხადებს სამინისტრო.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას ძალადაკარგულად აცხადებს სამინისტრო.

მუხლი 8². ლიცენზიის გაცემის, გაუქმებისა და მასში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება (17.03.2008 N 64)

სამინისტრო ლიცენზიის გაცემის, გაუქმებისა ან/და მასში ცვლილების

შეტანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ვალდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უმოკლეს ვადაში წარუდგინოს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და სალიცენზიო მოწმობის ასლები.

მუხლი 9. გარდამავალი დებულება

1. ხეტყის დამზადების (ტყით სარგებლობის) უფლების მინიჭების მიზნით დაწყებული ის პროცედურები, რომელთა განხორციელებაც დაწყებულია ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე, უნდა დასრულდეს საქართველოს „ტყის კოდექსითა“ და მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

2. სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით დაწყებული ის პროცედურები, რომელთა განხორციელებაც დაწყებულია ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე (სამონადირეო მეურნეობის შექმნაზე სავარგულის გამოყოფისათვის მიწის შესაკუთრეთა თანხმობის წარდგენის ჩათვლით) უნდა დასრულდეს „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი საკონკურსო წესით.

2¹. საქართველოს ტყის კოდექსის 56-ე მუხლის “ი” ქვეპუნქტითა და 87-ე მუხლით დადგენილი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება არ ვრცელდება სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელებზე, აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება აგრეთვე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით გაცემულ ლიცენზიებზე ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის ამოქმედებამდე. (16.06.2007 N117)

3. ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის, ხეტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიისა და სამონადირეო მეურნეობის მოწყობის სპეციალური ლიცენზიის ფორმები მტკიცდება მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. (17.03.2008 N 64)

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ვალდებულია პოტენციურ სალიცენზიო ობიექტებზე არ დაუშვას მოვლითი და სპეციალური ჭრების განხორციელება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე დასმული საკითხის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე. (17.03.2008 N 64)

5. ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის ან ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მისაღებად გამართულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს მე-4 მუხლის 4¹ პუნქტის შესაბამისად მასზე დამაგრებული რესურსის რაოდენობის ტყეკაფის გამოყოფის სამუშაოს განხორციელება. (13.03.2007 N48)

6. აუქციონში გამარჯვებული ტყეკაფის გამოყოფის სამუშაოების განხორციელების შემდეგ შესაბამის მასალებს შესათანხმებლად წარუდგენს სატყეო დეპარტამენტს. სატყეო დეპარტამენტი (ტერიტორიული ორგანო) უზრუნველყოფს

გამარჯვებულის მიერ ტყეკაფის გამოყოფის მიზნით შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენას კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს სათანადო კორექტივები, რის შემდეგაც ახორციელებს ტყეკაფის გამოყოფას. (13.03.2007 N48)

7. ხე-ტყის დამზადება აკრძალულია ტყეკაფის გამოყოფის გარეშე, თუ ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. (13.03.2007 N48)

8. ამოღებულია (12.11.2008 N 220)

9. ამოღებულია (12.11.2008 N 220)

10. სამინისტროს მიერ ერთ წლამდე ვადით გაცემულ ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიებს (რომელთა მოქმედების ვადა ამ დადგენილების ამოქმედების მომენტში არ არის ამოწურული), ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ავტომატურად გაუგრძელდეთ მოქმედების ვადა 2 თვით, რის თაობაზეც სამინისტროს მიერ შეიტანება შესაბამისი ჩანაწერი უწყებრივ სალიცენზიო რეესტრსა და ლიცენზიაში. აღნიშნულის თაობაზე ლიცენზიის ფორმაში გრაფასთან – “ლიცენზიის მოქმედების ვადა” კეთდება შესაბამისი ჩანაწერი, რასაც სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი ადასტურებს ხელმოწერითა და ბეჭდით. (31.07.2007 N164)

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ლიცენზიანტზე ვრცელდება იგივე უფლება-მოვალეობანი, რაც ლიცენზიის ძირითადი ვადის მოქმედების პერიოდში. (31.07.2007 N164)

12. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2005 წელს შპს «მერქანზე» და 2006 წელს ერთ წლამდე ვადით გაცემული ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების მფლობელებს, რომლებმაც ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში ვერ დაამზადეს ლიცენზიით გათვალისწინებული რესურსის სრული მოცულობა, ახალი ლიცენზიის მიღების გარეშე მიენიჭოთ აუთვისებელი რესურსის დამზადების უფლება ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან 2008 წლის 1 ნოემბრამდე. (08.05.2008 N 120)

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება იგივე უფლება-მოვალეობანი, რაც მათთვის გაცემული ლიცენზიის ვადის მოქმედების პერიოდში. (3.04.2008 N 81)

14. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიატები ვალდებული არიან მათ მიერ დამზადებული სამასალე მერქნის 15 (თხუთმეტი) პროცენტი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან_სატყეო დეპარტამენტთან ერთად გადასცენ სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციებს დადგენილების მე-2 დანართის შესაბამისად. (15.05.2008 N 129)

15. სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციებმა შესაბამისი მუნიციპალიტეტების გამგეობების მეშვეობით უზრუნველყონ სამასაე მერქნის მოსახლეობისათვის მიწოდების ორგანიზება. (12.04.2008 N96)

საქართველოს მთავრობის
2008 წლის 3 აპრილის
N81 დადგენილების
დანართი (3.04.2008 N 81)

N	რეგიონი/რაიონი	ლიცენზიის N	ლიცენზიანტის დასახელება	ლიკვიდი	მასალა	შეშა	სოციალური მოთხოვნისთვის სამასალედან (25%)
სამეგრელო_ზემო სვანეთი							
1	მესტიის რაიონი	N00183	შპს "გრიგალი"	871	512	359	128
2		N00194	შპს "მოდერნი XXI"	1119	692	427	173
